



საუბარი ბავშვებთან
ბულინგის შესახებ





ბულინგი

შეამჩნიეთ, რომ თქვენი 10 წლის შვილის, ჯონის, საქციელი საკმაოდ შეცვლილია ბოლო კვირების განმავლობაში. მას აღარ სურს სკოლაში წასვლა და მუდმივად იმიზეზებს კუჭის ტკივილს, ან ცუდად ყოფნას დილაობით. წლის განმავლობაში ის არ ყოფილა დაპატივებული დაბადების დღეებზე, თუმცა წინა წელს ხშირად იღებდა სადღესასწაულო მოსაწვევებს. თქვენ ეჭვობთ, რომ ჯონი შესაძლებელია ბულინგს განიცდის მისი კლასელებისგან. .

როგორია თქვენი რეაქცია? აირჩიეთ ერთ-ერთი შესაძლო რეაქციებიდან და გადადით მითითებულ გვერდზე:



გადადით [მესამე გვერდზე!](#)



გადადით [მეოთხე გვერდზე!](#)



გადადით [მეხუთე გვერდზე!](#)



გადადით [მეექვსე გვერდზე!](#)

თუ ეჭვები თქვენი შვილის ბუღინგის შესახებ დასაბუთებულია, უნდა იმოქმედოთ!

აი, რისი გაკეთება შეგიძლიათ:



- ბუღინგის შემთხვევები უნდა მოგვარდეს იქ, სადაც წარმოიქმნება. თქვენი დელვის მიზეზის შესახებ ესაუბრეთ შვილის მასწავლებელს, სოციალური სამსახურის წარმომადგენელს ან სკოლის მრჩეველს. ჰკითხეთ მასწავლებელს ან სკოლის წარმომადგენლებს, თუ რას გვთავაზობენ ისინი პრობლემის მოსაგვარებლად. ასევე შეგიძლიათ ჩართოთ სკოლის დირექტორი და სკოლის ფსიქოლოგი.
- აუხსენით თქვენს შვილს: "ჩვენ განვადგინებთ ამ საკითხზე მუშაობას, მანამდე სანამ, არ დავრწმუნდებით, რომ თავს უკეთ გრძნობ".
- დარწმუნდით, რომ თქვენი ბავშვის ყოველდღიური ცხოვრების სასიამოვნო და დადებითი ასპექტები უარყოფითად არ მოქმედებს ახლა მასზე. მნიშვნელოვანია, გრძნობდეს, რომ "მე მხარს მიჭერენ ის ადამიანები, ვისაც ვუყვარვარ და მაფასებს და ვისაც სიამოვნებს ჩემთან ყოფნა. მე მნიშვნელოვანი ვარ ამ ადამიანებისთვის და ეს მაძლიერებს. ყველაფრის მიუხედავად, კიდევ ბევრი რამ არის ჩემს ცხოვრებაში, რომლითაც შემიძლია ვისიამოვნო."



თუ ეჭვობთ, რომ თქვენს შვილს აბუღინებენ, მის მასწავლებელთან საუბარი დაგეგმარებათ პრობლემის მოგვარებაში. ნუ დააძალებთ მას მასწავლებლის წინაშე საუბარს. შესაძლებელია, შერცხვეს მის პრობლემაზე საუბარი, ან თავი იგრძნოს დამბუზღებლად. ამ ყველაფერმა ბავშვის ემოციური მდგომარეობა შესაძლოა, კიდევ უფრო დაამძიმოს. ბუღინგი ხშირად არის დაფარული და ზოგჯერ მასწავლებლებს მხოლოდ ბუნდოვანი ეჭვი გააჩნიათ ამის შესახებ. თუმცა, როცა მშობელი დაელაპარაკებით მასწავლებელს შესაძლებელია, რომ პრობლემა უფრო აშკარა და გასაგები გახდეს. თუ მასწავლებელი დაგიდასტურებთ, რომ ჯონი ხშირად არის მარტო, კლასისგან განცალკავებით, ან შესვენებებზე რჩება საკლასო ოთახში, სასურველია დაუსვათ მასწავლებელს შემდეგი სახის კითხვები:

- როცა ჯონი რაიმეს ამბობს კლასში, მოსწავლეები ერთმანეთს გადაუჩურჩულებენ ხოლმე?
- მოსწავლეები თვალებით რაიმეს ხომ არ ანიშნავენ ხოლმე ერთმანეთს?
- კლასში ხშირად აკეთებენ თუ არა შეურაცხმყოფელ ან დამცინავ კომენტარებს მის საქციელებზე?

ფრთხილად იყავით, რომ არ გამოგივიდეთ მასწავლებლის დადანაშაულება. ბუღინგი არის ის, რაც ხშირად ხდება მასწავლებლის გავლენის სფეროს გარეთ.

თუ მასწავლებელმა შენიშნა თანაკლასელების მიერ ბავშვის მიმართ ამგვარი ქცევა, შემდეგი ნაბიჯი უნდა იყოს შეხვედრა თქვენს შვილთან. გაეცანით რჩევებს მეხუთე გვერდზე, თუ როგორი უნდა იყოს ასეთი [ტიპის შეხვედრა](#)

რაცომ ზუღინგებთ ზემ ზუღის? ზონს
თქვენთვის არაფერი ცუდი არ გაუკეთებია!

ეს თუ ასე გავრძელებსა
აუცილებლიად დაუღიპარაკები
სკოლის დირექტორს.



არ არის კარგი იდეა, რომ უშუალოდ, ხისტად და პირდაპირ შეეცადოთ პრობლემის მოგვარებას. როდესაც ბუღინგში ჩართულია მთლიანი კლასი, მხოლოდ ერთი თანაკლასელის დადანაშაულება და მასზე დისციპლინური ზომების გამოყენება არ მოაგვარებს პრობლემას. მართლაც, თქვენმა სწრაფმა და უკიდურესმა რეაქციამ შეიძლება კიდევ უფრო გააუარესოს სიტუაცია.

ბუღინგი როგორც წესი, არის ჯგუფური ფენომენი და პრობლემა უნდა მოგვარდეს მის უშუალო ინიციატორთან. ეს შეიძლება იყოს ერთი კონკრეტული კლასი, რომელიც მთელს სკოლაზე ახდენს გავლენას..

პირველ რიგში, ეცადეთ სიტუაციაში უფრო კარგად გაერკვეთ. დააბუღინგეს თუ არა თქვენი შვილი მასწავლებლის წინაშე რაიმე საკითხის განხილვისას. ამ მიმართულებით რჩევის სანახავად ეწვიეთ [მესამე გვერდს](#). ამის გათვალისწინებით, თქვენს შვილთან გულახდილი საუბარი ყველაზე კარგი გამოსავალია. უფრო მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ [მეხუთე გვერდს](#).



მნიშვნელოვანია, როდესაც თქვენს ღელვას და ფიქრებს გულახდილად უზიარებთ შვილს. შეარჩიეთ შესაბამისი სიტუაცია ღია საუბრისთვის. ბავშვებისთვის ხშირად გაცილებით მარტივია შემთხვევითი და დაუგეგმავი დიალოგი. ერთად სეირნობა, თავსატეხი თამაშების ამოხსნა, სადღაცას წასვლა არის საუკეთესო ფორმა ასეთი ტიპის საუბრებისთვის.

უნდა გაითვალისწინოთ დრო, რომელიც ბავშვს სჭირდება ასეთი გულახდილი საუბრისთვის, მისი დროში შეზღუდვა მხოლოდ გაართულებს საქმეს.

საუბრის დაწყების გაადვილებისთვის, კარგი ინიციატივაა, საკუთარი გამოცდილების გაზიარება (იხილეთ მაგალითი). მაგალითად, საუბარი თქვენს პრობლემებზე, რომლებიც გქონდათ სკოლაში სხვა ბავშვებთან.

თუ ჯონი გაიხსნება და მოისურვებს საუბარს თქვენთან, თავი აარიდეთ მის დადანაშაულებას. მსგავსი განცხადებები, როგორცაა “რატომ არ მითხარი ადრე, ამის შესახებ? რატომ არ უთხარი მასწავლებელს?”. მან ეს შეიძლება აღიქვას, როგორც დაკითხვა და მასში შეიძლება აღძრას დანაშაულის გრძნობა, სირცხვილი და რისხვა.

თქვენ მას შეგიძლიათ დაუდასტუროთ მხარდაჭერა და აგრძნობინოთ, რომ მის გრძნობებს სერიოზულად აღიქვამთ: “მესმის, რომ ამან შენ დაგანაღვლიანა, გიგებ, რომ აღარ გინდა სკოლაში სიარული.”

თქვენ უფრო ნათელ სურათს დაინახავთ, როდესაც საკითხს განიხილავთ მასწავლებელთან. ამის შესახებ რჩევების სანახავად გადაადით [მესამე გვერდზე](http://www.living-democracy.com).



ჯონთან საკითხის განხილვა არის საუკეთესო გადაწყვეტილება. თუმცა, დიდი სიფრთხილე გმართებთ, რომ თქვენი შვილი თავდაცვით მდგომარეობაში არ ჩააყენოთ და არ აიძულოთ თავის მართლება. თუნდაც უწყინარი რჩევა, როგორცაა: “გულთან ახლოს არ მიიტანო”, ჯონს, თუ მართლაც ბულინგის მსხვერპლია, არ დაეხმარება პრობლემის მოგვარებაში.

ეცადეთ, რომ თქვენს შვილთან ურთიერთობა იყოს გულახდილი კომუნიკაცია, არაძალადობრივი კომუნიკაცია, ან მე-შეტყობინებას.

გსურთ, რომ მეტი გაიგოთ “ღია კომუნიკაციის” შესახებ? ნახეთ დოკუმენტი [“საუბარი ბავშვებთან საშინაო დაჯალბების შესახებ”](#) თავი [“ღია კომუნიკაცია”](#) გვერდი 4.

გსურთ, რომ მეტი გაიგოთ “არაძალადობრივი კომუნიკაციის” შესახებ? ნახეთ დოკუმენტი [“საუბარი ბავშვებთან აგრესიული ქცევის შესახებ”](#) თავი [“რა შემიძლია გავაკეთო? - აგრესიულ ქცევასთან გამკლავების რჩევები”](#) გვერდი 3.

გსურთ, რომ მეტი გაიგოთ “მე-კონტექსტის” შესახებ? ნახეთ დოკუმენტი [“საუბარი ბავშვებთან ნარკოტიკების შესახებ”](#) თავი [“მე-კონტექსტის”](#) გვერდი 6..

თქვენ ნახავთ ბავშვთან ბულინგის თემაზე კომუნიკაციის სპეციალურ რჩევებს [მეხუთე გვერდზე](#).

“საუბარი ბავშვებთან ბუღინგის შესახებ” დაფუძნებულია შემდეგ ლიტერატურას:

¹ Heueck-Mauss, Doris. 2016. So rede ich richtig mit meinem Kind: Wie Worte wirken: Konflikte fair lösen: Stressfreier erziehen. Hannover: Humboldt, 3

² Heueck-Mauss, Doris. 2016. So rede ich richtig mit meinem Kind: Wie Worte wirken: Konflikte fair lösen: Stressfreier erziehen. Hannover: Humboldt, 44

³ Gordon, Thomas. 2012. Familienkonferenz. Die Lösung von Konflikten zwischen Eltern und Kind. 3. Aufl. München: Heyne, 143 ff

Gordon, Thomas. 2012. Familienkonferenz. Die Lösung von Konflikten zwischen Eltern und Kind. 3. Aufl. München: Heyne.

Grolimund, Fabian. 2016. «... und alle schauen weg.» Das Schweizer Elternmagazin Fritz und Fränzi, September, 11-27.

Grolimund, Fabian und Stefanie Rietzler. 2016. «Mein Kind wird gemobbt. Und jetzt?» Das Schweizer Elternmagazin Fritz und Fränzi, September, 32-33.

Heueck-Mauss, Doris. 2016. So rede ich richtig mit meinem Kind: Wie Worte wirken: Konflikte fair lösen: Stressfreier erziehen. Hannover: Humboldt, 25 ff.

Watzlawick, Paul, Janet H. Beavin und Don D. Jackson. 2017. Menschliche Kommunikation – Formen, Störungen, Paradoxien. 13. Aufl. Bern: Hogrefe.

Zimet, Nadine. 2015. «Einen Konflikt ohne Strafe austragen- ein Beispiel.» Das Schweizer Elternmagazin Fritz und Fränzi, Dezember. retrieved 22.03.2019.

<https://www.fritzundfraenzi.ch/erziehung/elternbildung/einen-konflikt-ohne-strafe-austragen-ein-beispiel>